

თბილისი - უმაღლესი განათლების საერთაშორისო ჰაბი: პრობლემები და  
გამოწვევები

ელისო ლობჯანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელისო ლობჯანიძე

2018 წელი

## აბსტრაქტი

უმაღლესი განათლება და მასთან დაკავშირებული პროცესები განსაკუთრებული მნიშვნელობის არის და იქნება, რამეთუ განათლებასა და მის ხარისხზე დგას ერისა და ქვეყნის მომავალი. სხვადასხვა სფეროს განვითარების, სიახლეების, გამოგონებების კვალდაკვალ მსოფლიოს სჭირდება თანამედროვე სამყაროს თანმდევი მოვლენა - პროგრესი. ყოველივე ზემოხსენებულის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი - ხარისხიანი განათლების არსებობაა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია უმაღლესი განათლების როლი და დადებითი შედეგების არსი ინტერნაციონალიზაციის პროცესში. რა პოზიტიური გავლენა აქვს ინტერნაციონალიზაციას ქვეყნისათვის ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა ჭრილში.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია აქვს თუ არა დასახული სახელმწიფოს კონკრეტული გეგმები უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიმართულებით და რას ფიქრობენ საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები ზემოხსენებულის თაობაზე. აგრეთვე, მიმოხილულია თბილისში მცხოვრები უცხოელი სტუდენტების პრობლემებისა და კმაყოფილების განმსაზღვრელი ინდიკატორები, სამომავლო გეგმები და ზოგადად, მათი „ქართული ყოფის“ ძირითადი აქცენტები. ამას გარდა, როგორია მიმდინარე სიტუაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტის აზრით, რა არის დასახვეწი განათლების სფეროში, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის პერსპექტივები აუთვისებელი ბაზრების ათვისების კვალდაკვალ და ა.შ. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია სამი სემენტის მიერ დაფიქსირებული მოსაზრების მსგავსებისა და განსხვავების გამოკვეთილი შემთხვევები.

აღნიშნულზე დაყრდნობით, კვლევამ გამოკვეთა რომ უცხოელი სტუდენტების საქართველოში სასწავლო მიზნით მიგრაციის მთავარი ფაქტორებია დაბალი გადასახადი და (რეგიონალურ დონეზე) სწავლის მაღალი ხარისხი. არის სხვა (მეორეხარისხოვანი) ფაქტორებიც, თუმცა, უმრავლესობისათვის ზემოხსენებული განმსაზღვრელი იყო.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ინფორმაციაა უცხოელი სტუდენტების მოზიდვით დაინტერესებული სეგმენტის - ამ შემთხვევაში საჯარო სექტორის, საგანმანათლებლო დაწესებულებისა თუ კერძო ბიზნესისათვის. რამეთუ, ყველა ზემოხსენებულს გააჩნია პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი ინტერნაციონალიზაციით გამოწვეული დადებითი შედეგების მიმართ.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** უცხოელი სტუდენტები, ინტერნაციონალიზაცია, ინტეგრაცია, უმაღლესი განათლება, ხარისხი, ადგილობრივი მოსახლეობა, ეკონომიკა.

## Abstract

Higher education and issues related to it, represent an important aspect of all time, considering that the future of people and the country is based on the quality of education. With the developments of various fields, including innovations and inventions, the world is in constant need of its accompanying event – Progress. One of the essential components, in order to implement all of the above mentioned issues, is the existence of quality higher education.

In the given Master's Thesis, we will represent the role of higher education and the positive results in the process of internationalization; What are the main positive impacts the internationalization has on economic, cultural, political and other context of the country.

The Thesis discusses whether the public sector has any specific plans in order to increase the number of foreign students and what are the opinions of the representatives of public structures about the above mentioned. Furthermore, the problems and satisfaction indicators of foreign students living in Tbilisi will be overviewed, as well as their future plans and the general aspects of their "Georgian life". In addition, the thesis will focus on the current situation according to the management of higher education institutions, precisely, what needs to be improved, the prospects of attracting foreign students in the direction of mastering untapped markets, etc. In the framework of the research, will be analyzed the distinct cases of the similarities and differences among the opinions by three various segments.

Based on above-mentioned, the study revealed that the main factors of migration for foreign students in Georgia are low cost and high level of education (on the regional level). There are other (secondary) factors, however, above-mentioned aspects were main determining element for the majority.

The results of the research could be quite meaningful information for the segment interested in attracting more foreign students, including public sector, universities or/and private businesses, considering that all the above-mentioned actors have direct or indirect connection towards positive results caused by internationalization.

**Main keywords:** Foreign students, internationalization, integration, higher education, quality, local inhabitants, economic.